ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №60

2025 წლის 26 ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე უსახელო ქუჩისათვის ალექსანდრე ჟორჟოლიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე უსახელო ქუჩას ეწოდოს ალექსანდრე ჟორჟოლიანის ქუჩა თანდართული რუკის თანახმად.

მუხლი 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია